განმარტებითი ბარათი

გაცნობებთ რომ ქალაქი თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული, N57. ს/კ 01.17.13.041.018 საკადასტრო ერთეულზე განცხადების ნომერით AR1937164 პროექტის კორექტირებისას შეიცვალა:

1. მიწისქვეშა ავტოსადგომი: "მ-ლ" ღერძებში გაუქმდა საგენერატორო სივრცე და გენერატორი დამონტაჟდა მიწისპირა სართულზე. „გ-ა" ღერძებში გაუქმდა ელექტრო მოწყობილობების ოთახი და გაჩნდა დამატებით პარკინგების ფართი
2. მიწისპირა სართული: „ლ-კ" მონაკვეთში შეიცვალა სადარბაზოში შესასვლელი კარის მდებარეობა. „ი" ღერძთან შემცირდა სახანძრო ოთახის შესასვლელი კარის გაბარიტი. „კ-ი" მონაკვეთში დამატებით მოეწყო კარი.
3. ტიპიურ სართულებზე: „თ" ღერძთან სართულებზე გაჩნდა 1.1 კვმ ფართის სათავსი, ამავე ფართში ფასადის კედელზე დამატებით მოეწყო ღიობი.
4. სართულებზე შეიცვალა ბინების გეგმარება-გამიჯვნა გაერთიანება, ასევე ზოგიერთ სართულზე ბინების გაერთიანების შემდეგ შემცირდა დერეფნის ფართი და გაიზარდა საცხოვრებელი ფართი.
5. სახურავზე დამატებით მოეწყო გამწოვი სისტემის აგრეგატები.

აღნიშნული ცვლილებები ასახულია კორექტირებულ ექსპერტიზაში.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებები ზეგავლენას არ ახდენს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე და პროექტის კორექტირება მიზანშეწონილად მიმაჩნია.

07.04.2023 წელი

ლევანი ოქროპირიძე

საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული, N57. ს/კ 01.17.13.041.018 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინეს არქიტექტორებმა: დევი ქიტუაშვილმა და გიორგი საყვარელიძემ

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის (მუხლი 47. "არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განომარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. წესები - შნობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტის მიზანია განხორციელდეს მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობა, სადაც განლაგდება სასტუმრო, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რესტორანი, მიწისქვეშა ავტოსადგომი და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო სივრცეები. საპროექტო ტერიტორიაზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია გაპი (ბრძანება N 3176574. 12/04/2017).

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო ტერიტორიისთვის განსაზღვრულია მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.13.041.018), რომლის ფართობია 4040 კვ/მ. იგი მდებარეობს ქალაქი თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული, N57. ტერიტორია იმყოფება საზოგადოებრივ საქმიანი ზონის მოქმედების არეალში. მიწის ნაკვეთს სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი გზა (ბოჭორმის ქუჩა). მას ასევე ჩრდილოეთის მხრიდან აქვს საავტომობილო მისასვლელი, რომელიც საპროექტო ნაკვეთს აკავშირებს ქეთევან წამებულის გამზირთან. საპროექტო ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია მაღალი ინტენსივობის ნაგებობებითაა განაშენიანებული, იქ განლაგებულია მრავალფუნქციური ნაგებობები, სკოლა, მრავალბინიანი სახლები და სხვა.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო ნაგებობა შედგება სასტუმროს ბლოკისაგან (ა-ბლოკი) და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბლოკისაგან (ბ-ბლოკი), ისინი გეგმარებითი თვალსაზრისით ერთმანეთისაგან იმიჯნებიან და განვითრებულია როგორც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაგებობა. სასტუმროს ბლოკის ქვემოთ, პირველ სართულზე განლაგებულია რესტორანი, სასტუმროს ადმინისტრაციის სივრცეები და სხვა. იგივე სართულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი ბლოკის ქვემოთ არის ღია (გამჭოლი) სართული რომელიც გამოყენებულია ავტოსადგომად. მიწისქვეშა ავტოსადგომი რომელიც მდებარეობს -3,70 მეტრ ნიშნულზე - განლაგებულია ორივე ბლოკის ქვეშ. სასტუმროს

ბლოკი (ა-ბლოკი) არის 12 სართულიანი. მისი ბოლო სართულის გამოყენებული იატაკის ნიშნული არის სახანძრო მანქანის ყველაზე დაბალი მისადგომიდან 36,90 მეტრ სიმაღლეზე. ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბლოკი (ბ-ბლოკი) შედგება 23 სართულისაგან. მისი ბოლო სართულის გამოყენებული იატაკის ნიშნული არის სახანძრო მანქანის ყველაზე დაბალი მისადგომიდან 71,95 მეტრ სიმაღლეზე.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის ძირითადი სრტუქტურული სისტემა გადაწყვეტილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. საძირკველს წარმოადგენს ადგილზე ფორმირებული რკინაბეტონის ფილა, ასევე მონოლითური რკინაბეტონის ფილებითაა მოწყობილი ყველა სართულშუა გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი.

4. ძირითადი ნაწილი

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:

თვ-2 (303.3) თვაშეყრის ჯგუფი, რომელიც მოიცავს "რესტორნებს". ეს დაკავებულობა განლაგებულია მიწისპირა სართულზე (0 სართ) ა-ბლოკში. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1.4 სუფთა. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

თვ-3 (303.4) თვაშეყრის ჯგუფი, რომელიც მოიცავს "სპორტულ დარბაზებს (მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე)". ეს დაკავებულობა განლაგებულია ა-ბლოკში პირველ სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 4,7 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

სც-1 (310.3) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც მოიცავს სასტუმროებს მცირე ხნით დამკავებელთათვის. ეს დაკავებულობა განლაგებულია ა-ბლოკში 1-დან 11 სართულის ჩათვლით სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18.6 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

სც-2 (310.4) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც მოიცავს მრავალბინიან სახლებს. ეს დაკავებულობა განლაგებულია ბ-ბლოკში 1-დან 22 სართულის ჩათვლით. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18.6 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

სწ-1 (311.2) სასაწყობე ჯგუფი, ტანსაცმლის გასახდელები. ეს დაკავებულობა განლაგებულია მიწისპირა სართულზე (0 სართ) ა-ბლოკში. ვინაიდან ის არის ტანსაცმლის შესანახი და იქ პერიოდულად მოუწევთ ბევრ დამკავებლებს ერთდროულად ყოფნა - მისთვის შეირჩა თავშეყრის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1,4 სუფთა. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

სწ-2 (311.3) სასაწყობე ჯგუფი, ეს დაკავებულობა განლაგებულია -1 და 1 სართულზე "ღია და დახურული ავტოსადგომი" და ა-ბლოკში 1-დან 11 სართულის ჩათვლით სართულზე არსებული სათავსოები. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 46,5 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

სქ (304.1) საქმიანი ჯგუფი, რომელიც მოიცავს "მონაცემთა ელექტრონული დმუშავება"-ს. ეს დაკავებულობა განლაგებულია ა-ბლოკში 0 და 1 სართულებზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9,3 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

სმ-1 (306.2) სამრეწველო ჯგუფი, რომელიც მოიცავს ელექტრო გენერატორების. ეს დაკავებულობა განლაგებულია - 1 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9,3 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

დს (312.1) დამხმარე სათავსო, სადაც განლაგდება ავტოსაშხეფის სისტემის ავზი. ეს დაკავებულობა განლაგებულია - 1 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 29,7 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

2) **კონსტრუქციის ტიპის შეფასება:**

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **I-A ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**თვ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	464.4
სიმაღლე	შეუზღუდავი	39.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**თვ-3** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	42.5
სიმაღლე	შეუზღუდავი	39.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სც-1** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	11
ფართი	შეუზღუდავი	4121.5
სიმაღლე	შეუზღუდავი	39.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სც-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	22
ფართი	შეუზღუდავი	5899.8
სიმაღლე	შეუზღუდავი	79.05

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სწ-1** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	13
ფართი	შეუზღუდავი	275.2
სიმაღლე	შეუზღუდავი	39.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სწ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	2275.9
სიმაღლე	შეუზღუდავი	79.05

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სქ** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	2
ფართი	შეუზღუდავი	150.2
სიმაღლე	შეუზღუდავი	39.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სმ-1** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	76.4
სიმაღლე	შეუზღუდავი	79.05

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**დს** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	75.6
სიმაღლე	შეუზღუდავი	79.05

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თვითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

-1 სართულზე (-3,70 ნიშნულზე) არსებულ სივრცეებს **წესების** 1021.2 ქვეთავის მიხედვით ესაჭიროება ორი გასასვლელი, მაგრამ სართულს ემსახურება სამი შიდა გასასვლელის გზა-კიბე და ასევე ამ სართულზე არსებულ ელექტრო გენერატორის ოთახს სმ-1 დაკავებულობას აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი ეზოში.

0,00 ნიშნულზე განლაგებულ თავშეყრის, საქმიან და სასაწყობე სივრცეებს აქვთ პირდაპირი კავშირი 5 გარეთ გამომსვლელ კართან, საიდანაც არის საშუალება პირდაპირ ღია, საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრისა. **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები

ა-ბლოკს, რომელიც ფუნქციურად არის სასტუმრო, ემსახურება ორი შიდა გასასვლელის გზა-კიბე, სართულებზე გზა-კიბეები ერთმანეთს უკავშირდება ცეცხლმედეგი დერეფნით. ასევე ბ-ბლოკს, რომელიც ფუნქციურად არის მრავალბინიანი სახლი, ემსახურება ორი შიდა გასასვლელის გზა-კიბე. სართულებზე გზა-კიბეები ერთმანეთს უკავშირდება ცეცხლმედეგი დერეფნით. ნაგებობის ორივე ბლოკიდან გასასვლელების რაოდენობა და მათ შორის მანძილები აკმაყოფილებს **წესების** 1021.2 და 1015.2.1 ქვეთავების მოთხოვნებს. ნაგებობაში არსებული გზაკიბეები დაგეგმარებულია 1009.2, 1009.3, 1022.1 და 1022.3 ქვეთავების მიხედვით. გზა-კიბეები არის ცეცხლმედეგი

კედლით შემოზღუდული, მათში მოწყობილია დაწნევის სისტემები და ისინი აკავშირებს ერთმანეთთან ნაგებობის ყველა სართულს და შენობიდან გამოსასვლელს.

შენობიდან გამოსასვლელები **წესების** 1027 ქვეთავის შესაბამისად მდებარეობს მიწის დონეზე და გადის შენობის გარეთ საზოგადოებრივ გზაზე.

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5) გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

მთელ ნაგებობაში ორივე ბლოკში პროექტით გათვალისწინებულია ოთხი გზა-კიბე. ოთხივე გზა-კიბის სიგანე არის 110 სმ. რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთვების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით. სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთვის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთვის მოთხოვნებს. ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება:

ა-ბლოკში შენობის პირველი სართული მდებარეობს მიწის დონეზე საიდანაც შესაძლებელია ლიფტებთან მოხვედრა, ლიფტებით შესაძლებელია ნაგებობის ყველა სართულზე ასვლა, მათ შორის ავტოსადგომის სართულზე ჩასვლაც. სასტუმროში სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სასტუმროს ნომრების რაოდენობა, რაც აკმაყოფილებს **წესების**1107.6.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ა-ბლოკის ყველა იატაკი და ყველა სივრცე არის მისაწვდომი.

ბ-ბლოკში ლიფტების ფოიე მდებარეობს მიწის ზედაპირის სიმაღლეზე და უნარშეზღუდული პირდაპირ ხვდება ლიფტებთან, საიდანაც საშუალება აქვს ნაგებობის

ყველა სართულზე მოხვდეს, მათ შორის ავტოსადგომშიც, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1107.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ბინები ისეა დაგეგმარებული რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ა ტიპის ან ბ ტიპის ერთეულებად გადაკეთება.

ავტოსადგომის სივრცეში მოწყობილია **წესების** 1106.1 ცხრილის მიხედვით უნარშეზღუდულთა ავტოსადგომები

სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი. ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი. ყველა დაკავებულობა არის მისაწვდომი.

7) ავტოსადგომების შეფასება:

ნაგებობას -1 სართულზე -3,70 ნიშნულზე აქვს ავტოსადგომი. იგი ემსახურება 49 ავტომიბილს. ავტოსადგომში ჩადის ღია პანდუსი, რომლის სიგანეა 6,5 მეტრი (**წესების** 406.9.4.1ქვეთავი) პანდუსის დახრები **წესების** 406.9.4.4 ქვეთავის შესაბამისადაა განსაზღვრული. 2 ავტოსადგომი განლაგებულია პანდუსის ბოლოში, ხოლო ძირითად სივრცეში განლაგებულია 47 ავტოსადგომი, მას ემსახურება გზა, რომლის სიგანე არის 3,5 მეტრზე მეტი, რაც აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.7ქვეთავის მოთხოვნებს. ავტოსადგომების სიგანე, სიგრძე და გასასვლელის მინიმალური მანძილი განსაზღვრულია **წესების** 406.9.4.3.2 ქვეთავის მიხედვით. ღია ავტოსადგომებია მოწყობილი ბ-ბლოკის 0 სართულზე და ეზოში. ეს ავტოსადგომებიც წესებთან სრული შესაბამისობითაა დაგეგმარებული. გათვალისწინებულია მოხვევის შიდა რადიუსები **წესების** 406.9.4.2 ქვეთავის მიხედვით.

8) ლიფტების შეფასება:

ა-ბლოკში მოწყობილია ორი ლიფტი. მათგან ერთი ლიფტი წესების (1007.2.1) ქვეთავის მიხედვით მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის და ისეა დაგეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2.0 X 0.65 ზომის საკაცის შეტანა. ლიფტის დაგეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1702.4. 1109.7 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ლიფტები უკავშირდება ნაგებობის სართულებზე არსებულ დერეფნებს. ლიფტებში დაყენებულია დაწნევის სისტემა **წესების** 713.14.1 ქვეთავის გამონაკლისი 6-ის მიხედვით, ხოლო ავტოსადგომის სართულზე ლიფტებს აქვთ განიავებადი ფოიე/ვესტიბიული. ნაგებობის სახურავზე მოწყობილია ლიფტის სამანქანე ოთახები, რომელიც დაკავშირებულია გზა კიბესთან. ლიფტის შახტა შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით. ლიფტები წესებთან სრული შესაბამისობითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს **წესების** მე-17 თავის მოთხოვნებს.

ბ-ბლოკში **წესების** 403.6.1 ქვეთავის მიხედვით მოწყობილია სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის მისადგომი ორი ლიფტი. ეს ლიფტები დაგეგმარებულია **წესების** 1707 ქვეთავის მიხედვით. ლიფტების ტვითამწეობაა 1600 კგ. მას აქვს განიავებადი ფოიე, რომლის ფართობი ყველა სართულზე 14 მ2-ზე მეტია. ფოიე კავშირშია გზა კიბესთან. სახანძრო სამაშველო ლიფტები წესებთან სრული შესაბამისობითაა დაგეგმარებული.

9) გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილის მოთხოვნებს. იგი შედგება მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლის ანაწყობით.

გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

10) სახურავის ანაწყობის შეფასება:

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. შენობის I-A კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის ორივე ბლოკის სახურავი **წესებთან** შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

11) ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

ნაგებობებში 9 სხვადასხვა დაკავებულობაა, ისინე ერთმანეთისაგან იმიჯნებიან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის სართულშუა გადახურვის ფილით და ბეტონის ბლოკის კედლებით რაც სრულიად შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

12) ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

წესების 903.2.8 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე ნაგებობის ორივე ბლოკი მთლიანად აღჭურვილია **წესების** 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა მოხდეს NFPA 13 - ის მიხედვით.

ნაგებობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეპუნქტის მიხედვით და განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

წესების 905.1 ქვეთავის მიხედვით და სახანძრო სამსახურის მოთხოვნის გათვალისწინებით ნაგებობის ორივე ბლოკის დერეფნებში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები, რომლებიც უნდა დაყენდეს NFPA 14 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

წესების 713.14.1 ქვეთავის (გამონაკლისი 6-ის) მიხედვით ლიფტების შახტებში დაყენებულია დაწნევის სისტემა.

დაწნევის სისტემაა დაყენებული გზა-კიბის შემოზღუდვაში **წესების** 1022.10 ქვეთავისა და 909.20.5 ქვეთავის მიხედვით და ვინაიდან საპროექტო ნაგებობები მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით - გზა კიბეებს აღარ ესაჭიროებათ ვესტიბიულები.

წესების 907.2.9 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით სც-2 დაკავებულობებში დერეფნებში დაყენებულია წესების 907.2.9.1 ქვეთავის შესაბამისი ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემებს 907.5 ქვეთავის შესაბამისად.

წესების 907.2.9.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით UL 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა დაყენდეს 907.2.11.1 - 907.2.11.4 ქვეთავებისა და NFPA 72-ის მიხედვით.

13) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს. კერძოდ **წესების** 1602.3 ქვეთავის მიხედვით ავტოსადგომს წყალსადენი სისტემები არ ესაჭიროება, ხოლო ავტოსადგომის სართულზე არსებული სხვა დაკავებულობებისათვის განსაზღვრულია 0 სართულზე არსებული ტუალეტები. ასევე 0 სართულზეა განსაზღვრული ა-ბლოკში 1 სართულზე არსებული თვ-3 და სქ დაკავებულობებისთვის საჭირო ტუალეტები. ტუალეტების დაშორებულობა და განლაგება აკმაყოფილებს წესების 1602.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქალაქი თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული, N57. ს/კ 01.17.13.041.018 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტები:

გიორგი ლოთიშვილი

ლევანი ოქროპირიძე

ლევანი ოქროპირიძე

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი	ლევანი ოქროპირიძე
დაბადების თარიღი	03.07.1985
დაბადების ადგილი	რუსთავი
მისამართი	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. N28
ტელეფონის ნომერი	595 65 15 56
E-mail:	okropira@gmail.com

განათლება

უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2003-2007 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინჟინერი, ბაკალავრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2010-2012 თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინტერიერის დიზაინერი, მაგისტრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2017 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - დოქტორუანტურა

სამუშაო გამოცდილება

2006-2011 - შპს „დ პლუსი“ - სამშენებლო კომპანია არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2013_დან დღემდე - შპს „ენ ენ ჯგუფი“ - სამშენებლო კომპანია

არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2011_დან 2019 წლამდე - შპს „საინვესტიციო დეველოპერულიკომპანია ათორი“ - სამშენებლო კომპანიამთავარი არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმებაშესაბამის ორგანოებთან)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD, ArchiCAD, Revit, 3D’s Max, Photoshop, CorelDraw

ენები

ქართული	მშობლიური
ინგლისური	კარგი
რუსული	კარგი

ინტერესთა სფერო

კითხვა, მუსიკის მოსმენა, მოგზაურობა.

განმცხადებელი ლ. ოქროპირიძე

თარიღი: 12.02.2021

სერტიფიკატი

№ 2017-081

გადაეცემა

ლევან ოქროპირიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000097

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2012 წლის 25 ივლისის № 3

გადაწყვეტილებით ლევან ოქროპირიძეს მიენიჭა

ინტერიერის დიზაინის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დეკანი
Dean ნოდარ ამაშუკელი
/ Nodar Amashukeli /

რექტორი
Rector თინათინ კლდიაშვილი
/ Tinatin Kldiashvili /

თბილისი
TBILISI

05 / რიცხვი/ day
09 / თვე/month
2013 / წელი/year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000097

By Decision № 3 of 25 July 2012 of the Faculty of

Architecture

Levani Okropiridze

was awarded the Degree of Master of

Interior Design

ბ.ა.
Seal

სარეგისტრაციო №
REGISTRATION 155

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

ლევანი

LEVANI

გვარი / LAST NAME

ოქროპირიძე

OKROPIRIDZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მმ / M	35001052365

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
03.07.1985	05.05.2032

ხელმოწერა SIGNATURE

გარათის No / CARD No

20ID82221

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

რუსთავი

RUSTAVI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

05.05.2022

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2020

სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGEO2OID82221035001052365<<<<

8507033M3205057GEO<<<<<<<<<<<0

OKROPIRIDZE<<LEVANI<<<<<<<<<<<